

ევროპის უნივერსიტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

2018 წლის ანგარიში

სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო აქტივობების შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ რეგულარულად ხდება სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა არხებით: უნივერსიტეტის ვებგვერდით, სიახლეების ბლოგის მეშვეობით(internationalgazette.wordpress.com), სასწავლო ბაზის, მობილურ ტელეფონზე გზავნილის, სოციალურ ქსელში ევროპის უნივერსიტეტის ჯგუფში სიახლის გაზიარებისა და სამსახურის გვერდის, საინფორმაციო შეხვედრებისა და პოსტერების, ასევე ჯგუფებში შესვლის, სატელეფონო კავშირისა და ინფორმაციის მიწოდების გზით. ასევე რეგულარულად ხდება სტუდენტთა გამოკითხვა გასაუბრების გზით, მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

პარტნიორები

- [უ. დევიდსონის ინსტიტუტი ჩიკაგოს უნივერსიტეტში\(აშშ\)](#)
- [დობროვა გორნიცას უნივერსიტეტი \(პოლონეთი\)](#)
- [ბიზნესის უმაღლესი სკოლა ვროცლავში\(პოლონეთი\)](#)
- [ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტი\(უკრაინა\)](#)
- [დაუგავპილსის უნივერსიტეტი\(ლატვია\)](#)
- [ბ.პრუსის სახელობის ვარშავის უმაღლესი ჰუმანიტარული სკოლა\(უკრაინა\)](#)
- [ლუსიან ბლაგას სახელობის სიბუს უნივერსიტეტი\(რუმინეთი\)](#)
- [ჩერნიჰივის ტექნოლოგიების ეროვნული უნივერსიტეტი\(უკრაინა\)](#)
- [ბოგდან ხმელნიცკის სახელობის ჩერკასის ნაციონალური უნივერსიტეტი \(უკრაინა\)](#)
- [აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი \(უკრაინა\)](#)
- [ფენგლინის კოლეჯი \(ჩინეთი\)](#)
- [სიდლიცას უნივერსიტეტი \(პოლონეთი\)](#)
- [ვინიცას ტექნიკური უნივერსიტეტი \(უკრაინა\)](#)
- [ალექსანდრე სტულგინსკის უნივერსიტეტი\(ლიტვა\)](#)
- [დასავლეთ ყაზახეთის მარატ ოსპანოვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი](#)
- [გორდონის აკადემიური განათლების კოლეჯი \(ისრაელი\)](#)
- [კორეის უნივერსიტეტი \(სამხრეთ კორეა\)](#)

ხელშეკრულება მეორე, ევროპულ დიპლომთან დაკავშირებით

ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ მეორე ევროპული დიპლომი აიღონ პოლონეთის ვროცლავის უნივერსიტეტში.

საერთაშორისო წევრობა 2018 წელს

- 2018 წელს ევროპის უნივერსიტეტი ჰარვარდის ბიზნესის სკოლის კონკურენციისა და სტრატეგიის ინსტიტუტის (MOC) აფილირებული წევრი გახდა, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს ჰარვარდის სასწავლო მასალები და მეთოდოლოგია გამოიყენოს. MOC აფილირებული ქსელი შეიქმნა 2002 წელს ორ აფილირებულ ინსტიტუტთან ერთად INCAE ნიკარაგუაში და სტოქჰოლმის ეკონომიკის სკოლა, ლატვიაში. ამ ეტაპზე ქსელი მოიცავს 67 ქვეყნიდან ასზე მეტ უნივერსიტეტს. ბოლო ათწლეულის მანძილზე MOC-ის აფილირებულმა უნივერსიტეტებმა 64 000 სტუდენტს 1838 კურსი შესთავაზეს.
- 2018 წელს ევროპის უნივერსიტეტი [ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის \(AMSE\)](#) წევრი გახდა. წევრობა საშუალებას იძლევა სხვადასხვა პროექტში ჩართვისა და სამედიცინო სკოლებს შორის თანამშრომლობის.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

გაცვლები 2018 წელს

სტუდენტთა გაცვლები ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში

- ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტი გიორგი ფარსადანიშვილი, უნივერსიტეტის დაფინანსებით, გაცვლითი პროგრამით 2018 წლის შემოდგომის სემესტრში 1 სემესტრით სასწავლებლად იმყოფებოდა პოლონეთის დობროვა გორნიცას უნივერსიტეტში.
- ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტები გვანცა რობაქიძე და ლუკა მახარაძე საერთაშორისო ბიზნეს-კვირეულის ფარგლებში 2018 წლის 7-9 მაისის იმყოფებოდნენ პოლონეთის სიდლიცას სახელმწიფო უნივერსიტეტში.
- ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტი ქეთი ხითარიშვილი, გაცვლითი პროგრამით 2017 წლის 15-23 სექტემბერს სასწავლებლად იმყოფებოდა პოლონეთის დობროვა გორნიცას უნივერსიტეტის საზაფხულო აკადემიაში.

აკადემიური პერსონალის გაცვლები ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში

- ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ლექტორი თორნიკე ხომტარია საერთაშორისო ბიზნეს-კვირეულის ფარგლებში 7-9 მაისის იმყოფებოდა პოლონეთის სიდლიცას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უცხოელ პროფესორთა ლექციები

- 2016, 2017 და 2018 წლის ივნისში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის კონკურსის წესით შერჩეულმა სტუდენტებმა გაიარეს ჩიკაგოს სპრიგფილდის უნივერსიტეტის პროფესორის ნენსი სკანელის სასერტიფიკატო კურსი ფინანსებში და

მიიღეს ელექტრონული სერტიფიკატი ილინოისის ურბანა-შამპანას უნივერსიტეტიდან.

ტრენინგი პროფესორებისთვის

წერის სტრატეგიები

2018 წლის 28 ოქტომბერს, ევროპის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ორგანიზებით, ინგლისური ენის პროფესორ-მასწავლებლებისთვის გაიმართა საერთაშორისო ტრენინგის (აშშ), ჯუდიით ელიოტის ტრენინგი როგორ ვასწავლოთ პროდუქტიული უნარ-ჩვევები? ღონისძიების მონაწილეებმა ინგლისურ ენაზე აკადემიური წერის სწავლების საკითხები და სტრატეგიები პრაქტიკულად განიხილეს.

ტრენინგი ევროპის უნივერსიტეტმა დააფინანსა და მასში მონაწილეობა მიიღო ყველა ფაკულტეტის ინგლისური ენის პედაგოგმა.

პრეზენტაცია "როგორ მოვიპოვოთ ფულბრაიტი?"

2018 წლის 29 ივნისს, 10:30 საათზე, ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ორგანიზებით, ჩიკაგოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორმა ნენსი სკანელმა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის ჩაატარა პრეზენტაცია+ "როგორ მოვიპოვოთ ფულბრაიტი?"

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორები საერთაშორისო კონფერენციებზე

- 2018 წლის დეკემბერში, ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორები გოჩა თუთბერიძე და თორნიკე ხომტარია ჰარვარდის უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ ჰარვარდის სასწავლო კურსის

„კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკა“ გავლის მიზნით. აღნიშნული კურსის გავლა პროფესორებს საშუალებას აძლევს ის ევროპის უნივერსიტეტში დანერგონ და შესაბამისი სასწავლო მასალები სასწავლო პროცესსა და კვლევაში გამოიყენონ.

- 2018 წლის 26-27 ოქტომბერს, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორმა, გივი ბედიანაშვილმა მონაწილეობა მიიღო მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. ღონისძიება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
- 2018 წლის 12-13 ოქტომბერს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორებმა გოჩა თუთბერიძემ და გივი ბედიანაშვილმა მონაწილეობა მიიღეს **დავგაპილსის უნივერსიტეტში** ორგანიზებულ XIII საერთაშორისო კონფერენციაში *სოციალური მეცნიერებები და რეგიონული განვითარება 2018*.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტები საერთაშორისო კონფერენციებზე

- 2018 წლის 15 ივნისს, ევროპის უნივერსიტეტში, ფაკულტეტებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც ვიდეოკონფერენციის ფორმატის სახით მონაწილეობა მიიღეს პარტნიორი დობროვა გორნიცას უნივერსიტეტის (პოლონეთი), ევროპის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.
- 2018 წლის 22-25 მაისს, ევროპის უნივერსიტეტის ინფორმატიკის პროფესორი თ.ზარქუა მოხსენებით გამოვიდა საერთაშორისო კონფერენციაზე “ინტერნეტი-განათლება-მეცნიერება-2018” ვინიცას უნივერსიტეტში (უკრაინა). თ.ზარქუა ასევე არჩეული იყო კონფერენციის საერთაშორისო პროგრამული კომიტეტის წევრად.
- 2018 წლის 1-3 დეკემბერს, ევროპის უნივერსიტეტის პატრონაჟითა და ინფორმატიკის პროგრამის პროფესორ-მასწავლებლების ორგანიზებით გაიმართა მსოფლიო

ჩემპიონატის ნახევარფინალი პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის და სამხრეთ კავსკასიის ღია ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის უნივერსიტეტების სტუდენტები იღებდნენ მონაწილეობას.

კვლევის ინტერნაციონალიზაცია

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტი 2016 წლიდან ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს ბიზნესისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და გამოსცემს ჟურნალს **გლობალიზაცია და ბიზნესი**.
- 2018 წელს ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი **გლობალიზაცია და ბიზნესი** ინდექსირებადი გახდა საერთაშორისო სამიუზო ბაზაში – **ERIH PLUS** (European Reference Index for the Humanities and the Social Sciences), რომელსაც ადმინისტრირებას უკეთებს **Norwegian Social Science Data Services** (ნორვეგია), რაც ჟურნალის საერთაშორისო აღიარებას ნიშნავს.

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ორმხრივი გაცვლები

- 2018 წლის 6 სექტემბერს, ევროპის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტი, ნათია გელაშვილი, ლატვიის დავგაპილსის უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის მონაწილე გახდა. ევროპის უნივერსიტეტსა და ლატვიის დავგაპილსის უნივერსიტეტის ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში, ნათია გელაშვილი, როგორც კარგი აკადემიური მოსწრებისა და გასაუბრების დროს საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტი, ევროპის უნივერსიტეტმა კონკურსის წესით შეარჩია, რის შედეგადაც მან 2018-2019 წლის შემოდგომის სემესტრში დავგაპილსის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა.

სასწავლო სტიპენდიის ფარგლებში (4500 ლარი), ევროპის უნივერსიტეტმა კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტს მგზავრობის, ცხოვრებისა და კვების ხარჯები დაუფინანსა. ლატვიაში სწავლის განმავლობაში სტუდენტს ევროპის უნივერსიტეტში აკადემიური სტატუსი არ შეუწყდება. ამასთან, ევროპის უნივერსიტეტისგან მას მიეცა შესაძლებლობა საქართველოში გადასახდელი სწავლის საფასური ლატვიის უნივერსიტეტში სწავლის საფასურის დასაფარად მიემართა, ლატვიური მხარის მიერ კი აღნიშნული თანხა განახევრდა (სემესტრში 600 ევრო).

საერთაშორისო სამართლის სტუდენტის გამარჯვება კონკურსში

- 2018 წელს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისა და „ისრაელის სახლის“ ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტმა ბექა ლაგურაშვილმა გამარჯვება მოიპოვა სტუდენტური ნაშრომების კონკურსში.

კონკურსში მონაწილეობდა მრავალი სტუდენტი საქართველოს ხუთი უნივერსიტეტიდან (ევროპის უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტები).

2019 წლის შემოდგომაზე 5 დღიანი გაცნობითი ხასიათის ვიზიტისას, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტს ებრაული მხარე დაუფინანსებს ისრაელში მგზავრობისა და სასტუმროში განთავსების ხარჯებს. გამარჯვებული შეხვედბა ისრაელის პრესას და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებს, მონიხულებს წმინდა ადგილებსა და ღირსშესანიშნაობებს, ეწვევა წამყვან ებრაულ უნივერსიტეტებს, ჯარს, ქნესეთს, იერუსალიმის იად ვაშემის მემორიალურ მუზეუმს და სხვა ორგანიზაციებს.

უცხოელ პროფესორთა ლექციები

- **5-16 ნოემბერს, ევროპის უნივერსიტეტი ამერიკელი პროკურორის სპეცკურსს მასპინძლობდა**

2018 წლის 5-16 ნოემბერს, ევროპის უნივერსიტეტი სამხრეთ კაროლინას (აშშ) მოქმედი პროკურორის (წარმომადგენელი სააპელაციო სასამართლოში) უილიამ ვოტკინსის სპეცკურსს მასპინძლობდა. ღონისძიების ძირითადი თემა იყო *საერთაშორისო სისხლის სამართალი* და *აშშ-ს საკონსტიტუციო სამართალი*. კურსი სრულად დააფინანსა ევროპის უნივერსიტეტმა და მასში მონაწილეობდა სხვადასხვა უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები.

ღონისძიების დასასრულს, 16 ნოემბერს, კურსის მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება, რომლის შედეგების საფუძველზეც, ნაწილს მსმენელის, ნაწილს კი მონაწილის სერტიფიკატი გადაეცა.

უილიამ ვოტკინსის ავტორობითაა გამოცემული ცნობილი წიგნი - „ამერიკის დამოუკიდებლობის აღდგენა - კენკუტისა და ვირჯინიის რეზოლუციები და მათი

მემკვიდრეობა“. ის ასევე არის ოკლანდის (აშშ, კალიფორნია) დამოუკიდებელი ინსტიტუტის მკვლევარი.

- კონფერენცია "სისხლის სამართლის პრობლემები და გამოწვევები" ფლორიდის შტატის მოსამართლის ხელმძღვანელობით გაიმართა

2018 წლის 24 ოქტომბერს, ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია სისხლისსამართლის პრობლემები და გამოწვევები, რომელიც ფლორიდის შტატის მოსამართლის - მარკ სპეისერის ხელმძღვანელობით გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა სამართლის აქტუალურ საკითხებზე მომზადებული მოხსენებები წარადგინეს, რომელთა ძირითადი თემები იყო:

- მარიხუანას ლეგალიზება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.
- ევთანაზია.
- სიკვდილით დასჯა.

- კალიფორნიის ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის პროფესორმა სტუდენტებს სერტიფიკატები გადასცა

2018 წლის 12 ივლისს, ევროპის უნივერსიტეტში კალიფორნიის ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის (UCLA) პროფესორმა, მედიცინის დოქტორმა, სამუელ ბერნალმა გამართა საჯარო ლექცია თემაზე "ბიზნეს სამართალი და სამედიცინო მომსახურების ბაზარი". ღონისძიების შემდეგ, თითოეულ სტუდენტს სერტიფიკატი გადაეცა.

სამუელ ბერნალი არის მედიცინის დოქტორი, კალიფორნიის ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის ემერეტუსი პროფესორი. სხვადასხვა დროს აკადემიურ თანამდებობებს იკავებდა ჰარვარდის მედიცინის სკოლასა და ბოსტონის

უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში. ამასთან, წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა აშშ-ს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

- **EU-ს სტუდენტები დაესწრნენ ლექციას თემაზე "ჰოლოკოსტის გაკვეთილები XXI საუკუნეში"**

2018 წლის 18 ივნისს, ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ორგანიზებით, სტუდენტები დაესწრნენ საქართველოს უნივერსიტეტში პროფესორ ანა-მარია ორლა-ბუკოვსკას ინგლისურენოვან ლექციას "ჰოლოკოსტის გაკვეთილები XXI საუკუნეში". ღონისძიება ვიშეგრადის ფონდის გრანტის ფარგლებში ჩატარდა. ლექციის ფარგლებში შემდეგი საკითხები განიხილეს: "ჰოლოკოსტის გაკვეთილები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ" და "ჰოლოკოსტის შედეგების კულტურული და სოციალური ასპექტები".

ჰოლოკოსტის თემასთან დაკავშირებით, ევროპის უნივერსიტეტი და საქართველოს უნივერსიტეტი სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებას მომავალშიც გეგმავენ.

- **სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტი ევროპის უნივერსიტეტს მეორედ ეწვია**

2018 წლის 11 ივნისს, ევროპის უნივერსიტეტში დაიწყო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტის ტრენინგი საერთაშორისო სისხლის სამართალში. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე - თეიმურაზ მურდულია, საქართველოში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ოფისის ხელმძღვანელი - კაუპო კანდი და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი - ჟავ ივ ლავუარი.

ევროპის უნივერსიტეტის მოწვევით, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტი საქართველოს უკვე მეორედ ეწვია. ამჯერად ღონისძიების ორგანიზატორები რენე კასინის ფონდი და ევროპის უნივერსიტეტი არიან, პარტნიორები კი: საფრანგეთის საელჩო საქართველოში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ოფისი საქართველოში და შავი ზღვის უნივერსიტეტი. პროექტი მიზნად ისახავს მონაწილეთა ცოდნის გაღრმავებას საერთაშორისო სისხლის სამართლის მიმართულებით. ღონისძიებას უძღვებიან ევროპის წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოწვეული პროფესორები, კურსი ინგლისურ ენაზე ტარდება.

- ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით, აშშ-ს მოსამართლეებმა შეხვედრები სახელმწიფო სტრუქტურებში გამართეს

2018 წლის 15 მაისს, ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით, ამერიკელი მოსამართლეები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანსა და საბჭოს წევრებს შეხვდნენ. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ქართული სასამართლოს გამოწვევებზე, მათ შორის ნაფიცი მსაჯულებისა და მოსამართლეების გადამზადებასა და სადისციპლინო საქმისწარმოებაზე. "სამართლის საერთაშორისო კვირეულის" ფარგლებში, აშშ-ს სასამართლო კორპუსის წარმომადგენლები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავჯდომარეს, საქართველოს მთავარ პროკურორს, ასევე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს შეხვდნენ.

- ამავე ვიზიტის ფარგლებში, 16 მაისს, ევროპის უნივერსიტეტში ქართველი სამართალმცოდნეები აშშ-ს მოსამართლეების მასტერკლასებს დაესწრნენ. ღონისძიებაზე, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ლექციებისა და დისკუსიების სახით წარიმართა, საუბარი შემდეგ საკითხებს შეეხო: აშშ-ს საარჩევნო პროცესი, სისხლის სამართალწარმოება აშშ-ში, იურიდიული განათლება და სხვ.

- ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით, კონფერენცია სახელწოდებით "მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები" გაიმართა

2018 წლის 17 მაისს, ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა სამსახურისა და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით, კონფერენცია სახელწოდებით "მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები" გაიმართა. ღონისძიება "სამართლის საერთაშორისო კვირეულის" ფარგლებში ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღეს აშშ-ს მოსამართლეებმა, საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა და სამართლის პრაქტიკოსებმა. კონფერენციაზე საუბარი შეეხო საქართველოს სამართლებრივ სისტემას, მოხდა პარალელების გავლება აშშ-სა და საქართველოს სასამართლო პრაქტიკებს შორის, ხაზი გაესვა ქართული მართლმსაჯულების მიღწევებსა და გამოწვევებს.

- ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმა გაიარეს სასერტიფიკატო კურსი "მოწმის დაკითხვის ხელოვნება"

2018 წლის 12 მაისს, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა გაიარეს ცნობილი ამერიკელი ადვოკატის ჯეკ რაისის 4 საათიანი სასერტიფიკატო კურსი "მოწმის დაკითხვის ხელოვნება". სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართული კურსის მიმდინარეობაში, რომელიც სასამართლო პროცესზე მხარეებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას ინტერაქციური და საინტერესო ფორმით ეხებოდა. ღონისძიების დასასრულს, თითოეულ მონაწილეს სერტიფიკატი გადაეცა.

- ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ქალაქ მაიამის მოსამართლემ იმიტირებული სასამართლო პროცესი გამართეს 2018 წლის 28 აპრილს, ევროპის უნივერსიტეტს ქალაქ მაიამის (აშშ) სასამართლოს მოსამართლე მარკ სპეისერი ეწვია, რომელმაც EU-ს სტუდენტებისთვის მასტერკლასი სისხლის სამართლის პროცესში ჩაატარა. იმიტირებული პროცესი ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებითა და ამავე ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის - თათული დოლიძის ხელმძღვანელობით, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაიმართა. სასამართლო პროცესის სხდომის თავმჯდომარე მარკ სპეისერი იყო, პროცესის მონაწილეები კი - ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები.

ტრენინგი პროფესორებისთვის

- წერის სტრატეგიები 2018 წლის 28 ოქტომბერს, ევროპის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ორგანიზებით, ინგლისური ენის პროფესორ-მასწავლებლებისთვის გაიმართა საერთაშორისო ტრენინგის (აშშ), ჯუდიტ ელიოტის ტრენინგი როგორ ვასწავლოთ პროდუქტიული უნარ-ჩვევები? ღონისძიების მონაწილეებმა ინგლისურ ენაზე აკადემიური წერის სწავლების საკითხები და სტრატეგიები პრაქტიკულად განიხილეს. ტრენინგი ევროპის უნივერსიტეტმა დააფინანსა და მასში მონაწილეობა მიიღო ყველა ფაკულტეტის ინგლისური ენის პედაგოგმა.

- *პრეზენტაცია "როგორ მოვიპოვოთ ფულბრაიტი?"*

2018 წლის 29 ივნისს, 10:30 საათზე, ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ორგანიზებით, ჩიკაგოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორმა ნენსი სკანელმა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის ჩაატარა პრეზენტაცია "როგორ მოვიპოვოთ ფულბრაიტი?"

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში

- 2018 წლის ივლისში, მედიცინის პროგრამის პროფესორებმა, ნათია ჯოჯუამ და ოლია რჩელიშვილმა მონაწილეობა მიიღეს ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების ევროპის გაერთიანების (FEBS) საერთაშორისო კონფერენციაში.

ცნობადობის გაზრდის მიზნით საერთაშორისო მარკეტინგულ ღონისძიებებში

მონაწილეობა

საერთაშორისო განათლების ევროპული ასოციაციის (EAIE) კონფერენცია

2018 წელს, მედიცინის ფაკულტეტმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო განათლების ევროპული ასოციაციის კონფერენციაში, რომელიც 11-14 სექტემბერს ჟენევაში ჩატარდა.

2018 წელს აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა და პროფესორთა მომდევნო წელს გაცვლის კუთხით.

2018 წელს დაიგეგმა, რომ მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმის რეჟიმიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე განხორციელებულიყო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამები 2019 წლის პირველ ნახევარში. შესაბამისად, სამსახური აწარმოებდა მოლაპარაკებებს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFMSA) საქართველოს წარმომადგენლობასთან და პარტნიორ თურქულ უნივერსიტეტთან.

- 2019 წელს განხორციელდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამა თურქეთის ეგეს უნივერსიტეტში 15-19 აპრილს.
- დაფინანსდა ამავე ფაკულტეტის პროფესორის, თიკო გოგნაძის მივლინება სემინარზე და ლექციის ჩატარების მიზნით ეგეს უნივერსიტეტში 15-19 აპრილს.

- ფაკულტეტის მიერ შეირჩა მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFMSA) მიერ ორგანიზებულ 28 დღიან სასწავლო პრაქტიკაზე, უნგრეთში 2019 წლის სექტემბერში გასაგზავნი სტუდენტი, რომლის მონაწილეობას პროგრამაში ევროპის უნივერსიტეტი აფინანსებს.
- ფაკულტეტის მიერ შეირჩა სტუდენტი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1-7 მარტს სლოვენიაში გამართულ მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFMSA) საერთაშორისო კონგრესში და მოხსენებით წარსდგა.
- ფაკულტეტის სტუდენტების მიერ წარდგენილი კვლევა მიღებულ იქნა ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების ევროპის გაერთიანების (FEBS) 2019 წლის კონგრესის სამეცნიერო კომიტეტის მიერ და ჩვენი სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ 4-11 ივლისს კრაკოვში მიმდინარე კონფერენციაში, ერთ-ერთი სტუდენტის მონაწილეობას ასევე აფინანსებს ევროპის უნივერსიტეტი.
- ამავე წელს, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტის კვლევა მიღებულ იქნა ევროპის სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) სამეცნიერო კომიტეტის მიერ 24-29 აგვისტოს მიმდინარე საერთაშორისო კონგრესზე ვენაში, მედიცინის ფაკულტეტმაც აქაც სტუდენტს დაუფინანსა რეგისტრაციის საფასური.
- მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე ყაზახურ უნივერსიტეტთან, სადაც იგეგმება სტუდენტთა გაცვლა.